თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა
და სამართლის ინსტიტუტი

საქართველოსა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები

ტომი V

უაკ. (UDC) 34(09)+32.001
ს–216

„სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევების“ წინამდებარე გამოცემა ბოლო წიგნია ხუთტომეულიდან, რომელზე მუშაობაც თანამოაზრეებთან ერთად თხუთმეტი წლის წინ დავიწყეთ. პროექტის მიზანი გასულ საუკუნეში მოღვაწე იმ ხუთი დიდი ქართველი იურისტის კოლოსალური შრომისა და ბრწყინვალე შემოქმედებითი მემკვიდრეობის ერთობლიობაში წარმოჩენა იყო, რომელთაც მთელი ცხოვრება ქართველი ხალხის უნიკალური სამართლებრივი მემკვიდრეობის კვლევას, სამართლის ძეგლების მოძიებას, შესწავლასა და წარმოჩენას მიუძღვნეს. სამართლის ისტორიკოსთა სწორედ ამ დიდებული ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ პროფესორი მიხეილ (მიხაკო) კეკელია.

ღვაწლმოსილი მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულის მომზადებისა და გამოცემის ინიციატივა ამჯერადაც თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს ეკუთვნის. სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ პროექტში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა ყოველი ახალი წიგნის გამოსვლასთან ერთად სულ უფრო იზრდებოდა და ეს ტრადიცია არ დარღვეულა. წინამდებარე კრებულის მომზადებასა და გამოცემაში სამოცზე მეტმა ქართველმა მეცნიერმა, პრაქტიკოსმა იურისტმა თუ უბრალოდ, პროფესორ მიხეილ კეკელიას პიროვნების, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის დამფასებელმა მიიღო მონაწილეობა. კრებულში პირველად ქვეყნდება თავად ბატონი მიხეილის მიერ სამართლის ინსტიტუტში მუშაობის წლებში (1979-1984), დაწერილი და დღემდე გამოუქვეყნებელი ნაშრომი: **„დანაშაულისა და სასჯელის ცნებების გამომხატველი ტერმინები ქართულ ჩვეულებით სამართალში“.** ბატონი მიხეილის ბიოგრაფიასთან, მის შესახებ ოჯახის წევრების, სტუდენტების, კოლეგების სევდანარევ და საინტერესო მოგონებებთან ერთად, წიგნს თან ერთვის ქართველი მეცნიერის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ამსახველი, მაქსიმალურად სრულყოფილი ბიბლიოგრაფია.

კრებულის მომზადება-გამოცემასთან დაკავშირებული საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულებისას გამოჩენილი გულისხმიერებისთვის მადლობა გვინდა გადაუხადოთ პროექტის თითოეულ მონაწილეს. ფინანსური მხარდაჭერისთვის მადლობას მოვახსენებთ ჩვენს უცვლელ პარტნიორებს: **„ვარლამ ჩერქეზიშვილის საერთაშორისო ფონდს“** და „ძველი ქართული სამართლის, რომანისტიკის (რომის კერძო სამართლის) და სამართლის ისტორიის ინსტიტუტს“, მის ხელმძღვანელს, **პროფესორ ნუგზარ სურგულაძეს.** მადლიერება გვინდა გამოვხატოთ ასევე **გამომცემლობა „მერიდიანის“** თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც 2010 წლიდან მოყოლებული გვიერთგულეს, რათა ჩანაფიქრი ბოლომდე მიგვეყვანა. იმედი გვაქვს, ისევე როგორც კრებულის წინა გამოცემები, ეს წიგნიც მალე იპოვის საკუთარ მკითხველს, კეთილ სამსახურს გაუწევს როგორც სპეციალისტებს, სტუდენტებს, ისე სამართლით, მისი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი: გოჩა ფერაძე

© თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი
გამომცემლობა „მერიდიანი“, 2024

ISBN 978-9941-34-648-4

Tinatin Tsereteli State and Law Institute

THE ESSAYS ON THE HISTORY OF LAW AND POLITICAL THOUGHT

Volume V

The book was dedicated to the memory
of great Georgian scientist, professor
Mikheil Kekelia

„Meridian“ publishers
Tbilisi 2024

ლევან დვალიშვილი[1]

ანტიკვარული იარაღების გაყალბება საქართველოში

შესავალი

ხელოვნების ნიმუშების მსოფლიო ბაზარი სტაბილურია, მზარდია და დიდი ფინანსური ბრუნვა აქვს. ოფიციალური მონაცემებით, 2022 წლისათვის ხელოვნების ნიმუშების გლობალურ ბაზარზე ბრუნვამ 67.8 მილიარდს მიაღწია[2]. თავის მხრივ, ანტიკვარული (ძველებური) იარაღიც, რომელიც კულტურული ფასეულობის ერთ-ერთი სახეობაა, დამნაშავეთა სამყაროს ყურადღებას იპყრობს, იმდენად, რამდენადაც ასეთი იარაღის ცალკეული ეგზემპლარების ფასებმა შეიძლება მილიონობით აშშ დოლარიც კი შეადგინოს[3].

ხელოვნების ნიმუშების გაყალბება მსოფლიოს ხელოვნების სფეროს მთავარი გამოწვევაა. არ არსებობს ზუსტი მონაცემები, ხელოვნების საერთაშორისო ბაზარზე, ბრუნვაში რა წილი უჭირავს გაყალბებულ ანტიკვარულ ნივთებს, თუმცა ზოგიერთი მონაცემებით, მსოფლიო ბაზარზე არსებული ანტიკვარიატის ნახევარზე მეტი შესაძლოა, გაყალბებულიც კი იყოს[4]. ბუნებრივია, ფინანსურად მიმზიდველი სფერო დამნაშავეთა სამყაროს ყურადღებასაც იპყრობს და მასში, გარდა ცალკეული პირებისა და მცირე ჯგუფებისა, ასევე ჩაბმული არიან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებიც. მეტიც, ხელოვნების ნიმუშების ბაზარზე ყალბი ანტიკვარების შეტა-

---

1 **ლევან დვალიშვილი** – ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი;

2 The Art Basel and UBS Global Art Market Report 2023: https://www.ubs.com/global/en/media/display-page-ndp/en-20230404-art-basel.html (ბოლო შესვლა 03.08.2024). შედარებისთვის, 2016 წელს ბრუნვა 45 მილიარდს აღწევდა. იხ. P.Chrzczonowicz – Organised crime in the art forgery market». Teise›s aplvalga. Law review. No2 (16), 2017, გვ.129;

3 А.Л. Пушкарев – Старинное (антикварное) оружие: проблемы определения и правового режима. Вестник Уральского юридического института, N 32, 2017, გვ.71;

4 L.Amineddoleh, Are You Faux Real? An Examination of Art Forgery and the Legal Tools Protecting Art Collectors (May 26, 2015). Cardozo Arts & Entertainment Law Journal, Vol. 34, N1 (Spring 2016), გვ.68;

ნა ორგანიზებული დაჯგუფებების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა[5]. ანტიკვარული ყალბი ნივთებით სავსეა მსოფლიო მუზეუმებიც, მეტროპოლიტენ მუზეუმის ყოფილი დირექტორის მონაცემებით, მუზეუმში დაცული ხელოვნების ნიმუშების 40% ნაყალბევია [6].

განსხვავებით საზღვარგარეთისა, სადაც არამხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ დიდი სამართლებრივი პრაქტიკა დაგროვდა სიძველეებთან (ანტიკვარებთან) დაკავშირებით, საქართველოში ეს საკითხი, სამართლებრივი თვალსაზრისით შესწავლის საგნად არასოდეს ქცეულა. მით უმეტეს, ანტიკვარულ იარაღს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ გამორჩეულ სახეს, არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, რის გამოც, ბოლო 30 წლის მანძილზე გაჩაღებული სრულიად უკონტროლო ვაჭრობის შედეგად, საქართველოს ფარგლები დატოვა ათასობით უნიკალურმა ნივთმა, რითაც დიდი ზარალი განიცადა ქართულმა კულტურამ და რისი შეფასებაც ცალკე კვლევის საგანია [7].

ქართული (და ზოგადად კავკასიაში გავრცელებული) ისტორიული იარაღის მიმართ კერძო კოლექციონერთა შორის ბოლო პერიოდში გაღვივებულმა ინტერესმა, ანტიკვარული იარაღისადმი მოთხოვნა გააჩინა, თუმცა ბაზარზე არსებული მოთხოვნის მიუხედავად, აღარ არის შემორჩენილი ხარისხიანი ეგზემპლარები, რის გამოც, საქართველოში გაყალბებული ანტიკვარული იარაღის გასაყიდად დამზადება დაიწყეს, რაც ბოლო ორი ათწლეულია მიმდინარეობს და პირველადი დაკვირვებით, საკმაო ფინანსური ბრუნვაც უნდა ჰქონდეს. გაყალბებული ანტიკვარული იარაღი კი ძირითადად საზღვარგარეთ იგზავნება, სადაც მოტყუების გზით, თაღლითურად, როგორც ძველი იარაღი, საღდება აუქციონებზე, კერძო კოლექციონერებსა და მუზეუმებზეც კი.

დანაშაული, რაც ანტიკვარული იარაღის გაყალბებასა და თაღ-

---

5 P.Chrzczonowicz – Organised crime in the art forgery market. Teise's aplvalga. Law review, N2 (16), 2017, გვ.30;

6 P. Chrzczonowicz – Organised crime in the art forgery market. Teise's aplvalga. Law review, N2 (16), 2017, გვ.130;

7 კომუნისტების პერიოდში, ანტიკვარულ იარაღს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, რის გამოც, უამრავი ნიმუში განადგურდა, გადაკეთდა საყოფაცხოვრებო ნივთებად ან გადაიყარა. ეს ტენდენცია 1990-იან წლების შემდგომაც გრძელდებოდა, სანამ კოლექციონერთა შორის კავკასიური იარაღის ფლობის მოდა არ შემოვიდა და ანტიკვარულ იარაღს საბაზრო ფასი არ დაედო;

ლითურად გასაღებაში გამოიხატება, არავის უკვლევია და არც საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების თვალთახედვის არეში მოხვედრილა[8]. მით უმეტეს, არ არსებობს არანაირი ოფიციალური მონაცემები მსგავს საკითხებზე. წინამდებარე შრომა კი განხორციელდა იატაკქვეშა დანაშაულებრივ ჯგუფებზე დაკვირვების, ანტიკვარული იარაღის ასლების და რეპროდუქციების თანამედროვე ოსტატებისგან, დილერებისგან, ანტიკვარიატით მოვაჭრეებისაგან მიღებული ინფორმაციისა და ანტიკვარული იარაღის დიდი რაოდენობის უშუალოდ შესწავლის და ანალიზის საფუძველზე.

ამ ტიპის დანაშაულებრივი სქემები მხოლოდ თაღლითობაში როდი გამოიხატება, თანამდევ დანაშაულებად იკვეთება საბაჟო წესების დარღვევის, საგადასახადო ორგანოებისათვის გვერდის ავლის და შესაძლო კორუფციის ნიშნებიც კი, რაც საზღვარგარეთის გამოცდილებითაც, უმეტესად თან სდევს ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებულ დანაშაულებს [9].

თემის აქტუალობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ 2025 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მუზეუმების ტიპებს, საქმიანობის მიმართულების მიხედვით, ემატება სამხედრო მუზეუმიც, სადაც თავი უნდა მოიყაროს ქვეყნის სამხედრო წარსულთან დაკავშირებულმა ისტორიული და ტექნიკური განვითარების მასალებმა, მატერიალურ-ტექნიკურმა საშუალებებმა[10]. ექსპონატების მოძიების პროცესი ავტომატურად გულისხმობს იარაღის გამყალბებელი პირების გააქტიურებასაც ამ მიმართულებით. ამდენად, პრობლემა, რომელიც ძველებური იარაღის გაყალბებას გულისხმობს და სამწუხაროდ, სახელმწიფოს

---

8 აღსანიშნავია, რომ არათუ გაყალბების ფაქტები, არამედ თუნდაც, რომ შსს-ს მიერ, მხოლოდ ბოლო წლებში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა ავიღოთ, კულტურის ძეგლის (ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის) თუ ფასეულობების საქართველოდან უნებართვო გატანის და/ან დაუბრუნებლობის არცერთი ფაქტი არ არის რეგისტრირებული, რაც თავისთავად ლაკმუსის ქაღალდადაც შეიძლება გამოდგეს ამ დარგში ჩადენილი დანაშაულების გამოვლენის მიმართულებით თუ როგორი სიტუაციაა ქვეყანაში. https://info.police.ge/page?id=115 (ბოლო შესვლა 03.08.2024);

9 P. Chrzczonowicz – Organised crime in the art forgery market. Teise's aplvalga, Law review N2 (16), 2017, გვ.137;

10 საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ 22/06/2001, მუხლები 4, 5.2; 7.1, 8;

ყურადღების მიღმაა დატოვებული, უახლოეს პერიოდში აუცილებლად სხვა სიბრტყეზე გადაინაცვლებს, ამიტომ საჭიროა საკითხით პრაქტიკოსი იურისტების დაინტერესებაც.

I. ანტიკვარული იარაღის ცნების განსაზღვრებისათვის ქართულ კანონმდებლობაში

ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებული ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგია ნაკლებად არის მოწესრიგებული და ისინი გაბნეულია სხვადასხვა წლებში მიღებულ ნორმატიულ აქტებსა თუ სპეციალურ ლიტერატურაში. ხშირად, ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინების იურიდიული და არაიურიდიული გაგება განსხვავდება კიდეც ერთმანეთისაგან.

საქართველოს საკანონმდებლო აქტების ანალიზით ცხადი ხდება, რომ ხელოვნების პროდუქტს აღნიშნავს საერთო ტერმინი „კულტურული მემკვიდეობა". ქვეყნის უზენაესი კანონი საქართველოს კონსტიტუცია იცნობს აღნიშნულ ცნებას[11], თუმცა რაიმე განმარტებას არ აკეთებს თუ რა იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ. კანონებით „კულტურის შესახებ" და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" კულტურული მემკვიდრეობა ფართო შინაარსის მატარებელია და აქ მრავალი რამ შეიძლება მოიაზრებოდეს, რაც საერთო ჯამში ორ ნაწილად იყოფა (მატერიალური და არამატერიალური) და ორივე ნაწილი კანონის მიერ იდენტურად განიმარტება, ჩამოთვლიან რა სხვადასხვა ობიექტებს, მათ შორის, ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილ ნებისმიერი სახის მხატვრულ, ესთეტიკურ, ისტორიულ, მემორიალური ღირებულების მქონე ხელოვნების, არქეოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებულ მოძრავ ობიექტებსაც[12]. თუმცა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ყველა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი როდია „ძეგლი" და ასეთი მხოლოდ ის ობიექტი შეიძლება იყოს, რომელსაც სპეციალურად აქვს მინიჭებული „ძეგლის"

---

11 საქართველოს კონსტიტუცია 24/08/1995, მუხლები 5.6; 20;

12 საქართველოს კანონი კულტურის შესახებ 12/06/1997, მუხლი 5, საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ 08/05/2007, მუხლი 3;

სტატუსი. ზემოთ ხსენებული ორივე კანონი ასევე პარალელურად იცნობს ტერმინს „კულტურული ფასეულობა“, რომელსაც განმარტავენ, როგორც შემოქმედებითი პროცესის შედეგად, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილ უძრავ ან მოძრავ ნივთს, რომელსაც აქვს მხატვრული, ესთეტიკური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული, რელიგიური, მემორიალური, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური ღირებულება[13]. ამდენად, ყველა ის ნივთიც, რომელსაც შესაბამისი წესით მინიჭებული არ ექნება ძეგლის სტატუსი, ავტომატურად „კულტურულ ფასეულობათა“ კატეგორიაში მოიაზრება.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია 1970 წლის 14 ნოემბერს მიღებული კონვენციაც „კულტურული ქონების უკანონო იმპორტის, ექსპორტისა და გასხვისების აკრძალვისა და პრევენციის შესახებ“ (საქართველოში რატიფიცირებულია 1993 წლიდან)[14], რომელიც „კულტურული ქონების“ ჩამონათვალის ფართო სპექტრს გვთავაზობს და მათ შორის ერთ-ერთ სახედ უთითებს მეცნიერების, ტექნოლოგიის, სამხედრო თუ სოციალურ ისტორიასთან დაკავშირებულ ფასეულობებს. აქვე მოიაზრებს სიძველეებს, რომლებიც 100 წელზე მეტი ხნისაა და ეთნოგრაფიულ საგნებს.

„კულტურული ფასეულობის“ ჩამონათვალს შედარებით ვრცლად შეიცავს „კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ან დროებით გატანის ნებართვის გაცემისა და მასზე გაწეული მომსახურების ანაზღაურების წესის შესახებ“ დებულება, რომელიც ჩამოთვლის იმ კულტურულ ფასეულობებს, რომელთაც საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანისას, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს მოძრავი ძეგლებისა და კულტურულ ფასეულობათა სექცია იხილავს. მათ შორის, სექციის განხილვას ექვემდებარება მხატვრულად გაფორმებული ცივი იარაღის ნიმუშები, თუ მათი ასაკი 100 წელს აღემატება და მხატვრულად გაფორმებული ცეცხლსასროლი იარაღის ნიმუშები, თუ მათი ასაკი 70 წელს აღე-

---

13 იქვე.; საქართველოს კანონი კულტურის შესახებ 12/06/1997, მუხლი 5;

14 კონვენცია კულტურული ქონების უკანონო იმპორტის, ექსპორტისა და გასხვისების აკრძალვისა და პრევენციის შესახებ, პარიზი, 1970, მუხლი 1;

მატება[15]. ბუნებრივია, თუკი ანტიკვარული იარაღი მხატვრულად გაფორმებული არ არის, ის მაინც არ რჩება კონტროლს გარეშე და შეიძლება მოვიაზროთ ჩამონათვალის სხვა ცნების ქვეშ, კერძოდ, სექციის განხილვას ასევე ექვემდებარება სხვა გადაადგილებადი ნივთები, რომლებსაც აქვთ ისტორიული, მხატვრული, სამეცნიერო ან სხვა ღირებულება და სხვა ნებისმიერი ანტიკვარული ნივთი, მათ შორის ეთნოგრაფიული მასალა, თუ მისი ასაკი 100 წელს აღემატება.

ამდენად, ფართო გაგებით ანტიკვარული იარაღი, სხვა სიძველეების მსგავსად, მოიაზრება კულტურულ მემკვიდრეობაში, წარმოადგენს კულტურულ ფასეულობას, თუმცა მისი კონკრეტული ეგზემპლარების ძეგლად მიჩნევა და მოძრავი ძეგლების ნუსხაში მოხვედრა დამოკიდებულია სპეციალური ბრძანების გამოცემასთან, რის შემდეგაც მასზე გავრცელდება განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი და დაცვის ღონისძიებანი. ისტორიული იარაღის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად მიჩნევის იშვიათ მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ ს.ჯანაშიას სახ. მუზეუმის ფონდებში დაცული ხანჯლები (ინვ. ნომერი 10-69:1; № 108-73:1; № 1-53:1; № 33-59:1 და ა.შ.), რომელთაც მინისტრის ბრძანებით № 3/47 (07.03.07 წ.) მინიჭებული აქვთ ძეგლის სტატუსი)[16], თუმცა გაურკვეველია, რა კრიტერიუმებით შეფასდა თუ რომელი მათგანი ჩათვლილიყო „ძეგლად" და რომელი არა, მით უმეტეს, „ძეგლის" სტატუსი მინიჭებული აქვთ XIX ს.-ის ბოლოსა და XX ს.-ის დასაწყისის ხანჯლებს, რომლებიც თავის დროზე მასიურად იწარმოებოდა და არანაირი განსაკუთრებული სამეცნიერო ღირებულება არ გააჩნიათ, ხოლო ყურადღების გარეშეა დატოვებული მემორიალური იარაღი, რომლებიც გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს ეკუთვნოდათ, ასევე უნიკუმები, რომლებიც მხოლოდ ერთეული ეგზემპლარებია შემორჩენილი. არასწორია აქცენტის გადატანა მათ შემკულობაზეც, რადგან ერთი შეხედვით თითქოს არანაირად გამორჩეული იარაღი, შესაძლოა იძლეოდეს ძვირფას ინფორმაციას ტექნოლოგიის განვითარებისა

15 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება №05/63, 23/06/2015 დებულება კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ან დროებით გატანის ნებართვის გაცემისა და მასზე გაწეული მომსახურების ანაზღაურების წესის შესახებ, მუხლი 5;

16 მოძრავი ძეგლების სია, იხ. https://www.heritagesites.ge/uploads/files/62825453706ac.pdf (ბოლო შესვლა 03.08.2024);

და მეტალების დამუშავების ხერხების შესახებ, ამიტომ შეიძლება ითქვას, ყველა ნივთი ცალკე აღებული ხელოვნების ნიმუშია (კულტურული ფასეულობაა) და ისინი თანაბრად უნდა იყვნენ დაცული ან საკანონმდებლო დონეზე დასაზუსტებელია მათი შეფასების უფრო ზუსტი კრიტერიუმები.

განსაკუთრებით პრობლემატურია ტერმინოლოგია, რაც ანტიკვარულ იარაღს უკავშირდება. კანონი „იარაღის შესახებ" ყველანაირ ძველებურ იარაღს აერთიანებს ტერმინის – „საკოლექციო იარაღის" ქვეშ და განმარტავს, რომ ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ იარაღი, რომელსაც აქვს სამეცნიერო, ისტორიული, მხატვრული ღირებულება და რომლის დანიშნულებაა კოლექციის შექმნა და ექსპონირება. ხოლო იარაღის საკოლექციოდ მიჩნევის წესი უნდა განისაზღვროს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით[17], თუმცა დღეის მდგომარეობით, მსგავსი ბრძანება მიღებული არ არის.

საკოლექციო იარაღის ყველაზე ვრცელ განმარტებას იძლევა საქართველოს მთავრობის დადგენილება „იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ", რომლის თანახმად, საკოლექციო იარაღს შეიძლება განეკუთვნებოდეს: ა) იარაღი, რომელიც დაკავშირებულია გამოჩენილ სახელმწიფო, პოლიტიკურ ან საზოგადო მოღვაწესთან; ბ) იარაღი, რომელიც დაკავშირებულია ისტორიულ მოვლენასთან, საზოგადოებრივი ცხოვრების, მეცნიერებისა ან/და ტექნიკის განვითარებასთან; გ) იარაღი, რომელიც მხატვრულად გაფორმებულია ისე, რომ წარმოადგენს კულტურულ ღირებულებას; დ) იარაღი, რომლის წარმოება მიმდინარე ეტაპზე არ ხორციელდება[18]. თუმცა ხსენებული დადგენილება გარკვეულ ბუნდოვან ადგილსაც შეიცავს, კერძოდ, საკოლექციო იარაღის განმარტებისას, რომელსაც აკუთვნებს იარაღს, რომელიც წარმოადგენს კულტურული, ისტორიული, მეცნიერული ან ეთნოგრაფიული ღირებულების მქონე ეგზემპლარს, უთითებს, რომ ასეთი იარაღის „საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა სპეციალური სარემონტო სამუშაოთა შესრულების გარეშე შეუ-

17 საქართველოს კანონი იარაღის შესახებ 08/05/2003, მუხლები 2; 8; 35.2;

18 საქართველოს მთავრობის დადგენილება №144, იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ 23/08/2005, მუხლი 7;

ძლებელი[19]“ უნდა იყოს. სავარაუდოდ, დადგენილების ხსენებული ადგილის შემუშავებისას, მხედველობაში ჰქონდათ საკოლექციო ცეცხლსასროლი იარაღი, წინაალმდეგ შემთხვევაში გაურკვეველია, რა სარემონტო სამუშაო ესაჭიროება მაგალითად ფარს, ხანჯალს ან მუზარადს მისი საბრძოლო მდგომარეობაში მოსაყვანად თუ დაზიანებული არ არიან და ავთენტური სახით არიან შემორჩენილი, რატომ არ უნდა იყვნენ ისინი ჩათვლილი საკოლექციო იარაღთა კატეგორიაში. მით უმეტეს, როგორც დადგენილება პირველივე მუხლში უთითებს – „იარაღის“ ცნების ქვეშ ყველანაირ იარაღს მოიაზრებს[20] (და არა მხოლოდ ცეცხლსასროლს). დადგენილების დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან პირველად განსაზღვრა, არამხოლოდ საკოლექციო იარაღის ცნება, არამედ იარაღის კოლექციონერობის ცნებაც, რომელიც განმარტა, როგორც კოლექციის ფორმირების მიზნით, ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ კულტურული, ისტორიული, მეცნიერული ან ეთნოგრაფიული ღირებულების მქონე იარაღის შეგროვება და შენახვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით[21].

აქვე უნდა ითქვას, რომ ტერმინი „საკოლექციო იარაღი“ გაცილებით ფართო ცნებაა, რადგან კოლექციონირებას შეიძლება დაექვემდებაროს, არამხოლოდ ძველებური (ანტიკვარული) იარაღი, არამედ – შედარებით თანამედროვეებიც. შესაბამისად, ტერმინი „საკოლექციო იარაღი“ მთელი სიზუსტით არ ასახავს ანტიკვარული იარაღის რეალურ მნიშვნელობას. მეორე მხრივ, თუკი ტერმინ „ანტიკვარული იარაღის“ ქვეშ მხოლოდ 100 წელზე მეტი ხნის იარაღს მივიჩნევდით, გამოდის, რომ სიძველეთა სიიდან უნდა ამოირიცხოს ქართული ხალხური ოქრომჭედლობის კორიფეების და ბოლო წარმომადგენლების – ფილუ ძაძამიძის[22], ძმები ჯიქიების და სხვათა მიერ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში შექმნილი შედევრები,

---

19 იქვე;

20 საქართველოს მთავრობის დადგენილება №144, იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ 23/08/2005, მუხლი 1;

21 იქვე, მუხლი 7.1;

22 Л.Б. Двалишвили – Из истории западногрузинской филиграни (Мастер Филипп «Филу» Дзадзамидзе), Историческое оружиеведение. № 13, 2024, გვ. 82 -160;

შემკული იარაღი, რომლებიც არაერთ მუზეუმშია დაცული და შეიძლება ითქვას, ქართული ხალხური ოქრომჭედლობის ისტორიისათვის მნიშვნელოვან ნიმუშებს წარმოადგენენ. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობა ამ მხრივ დახვეწას და რეალობასთან უკეთ მორგებას საჭიროებს.

II. გაყალბებული ანტიკვარული იარაღის გასაღების კვალიფიკაციის საკითხისათვის

დასავლეთის ქვეყნებში, ინგლისურენოვან ლიტერატურაში, ხელოვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს აღნიშნავენ ტერმინით „Art crime" და მასში ძირითადად მოიზრება ხელოვნების ნიმუშების გატაცება, ქურდობა, გაყალბება, ვანდალიზმის სხვადასხვა გამოვლინებები, კონტრაბანდა[23]. ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობა, რომელშიც სხვადასხვა ორგანიზებული დანაშულებრივი ჯგუფები არიან ჩართული, განსაკუთრებით მოსახერხებელია ფულის გათეთრების და დიდძალი შემოსავლების მიღების მხრივაც, რაც განპირობებულია იმით, რომ ხელოვნების მსოფლიო ბაზარი დამნაშავეთა სამყაროსათვის ქმნის ლეგალურ ბაზისს, უკანონოდ მიღებულ შემოსავლებს კანონიერი სახე მისცენ[24]. მით უმეტეს, ასეთი საქმიანობა ყოველთვის შეფუთულია კანონიერი სახით და ისინი სრულიად ლეგალურად ოპერირებენ ბაზარზე [25].

ხელოვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს უკავშირდება და „სოციალურ" და „კულტურულ" ზიანს იწვევს, თუმცა პირველ რიგში ზიანი

---

23 M.Durney and P. Blythe – Art Crime: A Brief Introduction. Crime, Law And Social Change 56.2, 2011, გვ.116-117; Crime in the Art and Antiquities World: Illegal Trafficking in Cultural Property. edited by Stefano Manacorda, New York. Springer New York, 2011, გვ.52;

24 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბერის №506 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2018 წლების ეროვნულ სტრატეგიაში" ანტიკვარული ნივთებით უკანონო ვაჭრობა ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთ გამოვლინებად იყო მიჩნეული, თუმცა მოქმედ სტრატეგიაში მსგავსი მსჯელობა აღარ გვხვდება;

25 P.Chrzczonowicz – Organised crime in the art forgery market. Teise's aplvalga. Law review. No. 2 (16), 2017, გვ.128, 135;

ეკონომიკურია. არც არის დავა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინვესტირების პროცესი ქვეყნების ეკონომიკაში. განვითარებულ ქვეყნებში ინვესტირების ნაწილი მიემართება ფასეულობებში (ძვირფასი მეტალები, ქვები, ხელოვნების ნაწარმოებები), რომლებიც მიეკუთვნებიან ალტერნატიულ (არატრადიციულ) აქტივებს. ანტიკვარული იარაღი ასეთი სახის აქტივების ერთ-ერთი სახეა, რომელიც მზარდი სარგებლით გამოირჩევა და ხშირად წელიწადში 15-20%-იანი ფასის მატებაც კი ახასიათებს[26]. ამდენად, ყალბი ანტიკვარული იარაღის შეძენა, მყიდველისთვის ფინანსურ ზარალს უკავშირდება. ასევე დამატებით ზარალს იწვევს ნივთის ავთენტობის შესაფასებლად დანიშნული ნივთის ექსპერტიზაში გადახდილი თანხებიც.[27]

ხელოვნების ნიმუშთა გაყალბების მიერ გამოწვეული ზიანი გარდა ეკონომიკურისა (მსხვერპლს ფინანსურად აზარალებს), ხელოვნების სხვადასხვა სფეროს შეეხება და ქმნის მცდარ წარმოდგენებს წარსულზე, ისტორიაზე, ტექნოლოგიებზე, სხვადასხვა ხელოვანთა შემოქმედებაზე, ხელოვნების მიმდინარეობაზე და ა.შ. ანუ აზიანებს ყველაფერ იმას, რის გამოც კაცობრიობას კულტურა ესაჭიროება[28]. სწორედ ამიტომ, სამუზეუმო თუ კერძო კოლექციების გაჯერებას ყალბი ხელოვნების ნიმუშებით „კულტურულ დაბინძურებასაც" უწოდებენ, რომელიც ზიანს აყენებს კაცობრიობის კულტურულ გარემოს[29]. მსგავსი ტიპის დანაშაულები, ამავე დროს, აზარალებს შემძენთა (მუზეუმების, გალერეების, კერძო კოლექციონერების) და ანტიკვარების ვაჭრობაში ჩართულ კეთილსინდისიერი დილერების რეპუტაციასაც. ამდენად, ხელოვნების გამყალბებლების მიერ გამოწვეული ზიანი, მხოლოდ კანონით დაცული სიკეთის ხე-

26 А.И. Буркин – Инвестиции в антиквариат. Финансы и кредит, 2006, №8, გვ.72, 76;

27 T.Wurtenbeger – Criminal Damage To Art: A Criminological Study. DePaul Law Review 14.1 (1964), გვ.87-88;

28 T.Wurtenbeger – Criminal Damage To Art: A Criminological Study. DePaul Law Review 14.1 (1964), გვ.83-92; L.Amineddoleh – Are You Faux Real? An Examination of Art Forgery and the Legal Tools Protecting Art Collectors (May 26, 2015), Cardozo Arts & Entertainment Law Journal, Vol. 34, N1 (Spring 2016), გვ.99;

29 G.Calcani – The Cultural Pollution of the Fake. Beyond Forgery. Collecting, Authentication and Protection of Cultural Heritage. Padova University Press, 2022, გვ.117-118;

ლყოფით არ შემოიფარგლება და ის გაცილებით ფართოა.

ძველებური იარაღის ასლის დამზადება, რათქმაუნდა, ავტომატურად სისხლისსამართლებრივი დანაშაული არ არის, ისევე როგორც ძველი იარაღის ავთენტურობაში ჩარევა – რესტავრაცია. მაგალითად, სამუზეუმო სფეროში ასლების დამზადებასაც და რესტავრაციასაც ხშირად მიმართავენ. დასავლეთის მეცნიერებაში დიდი ხანია დგას საკითხი ნივთის ავთენტურობის განსაზღვრების სწორი გაგებისათვის: შეიძლება თუ არა ავთენტური ეწოდოს ნივთს, რომელსაც კონსერვაცია ან რესტავრაცია აქვს ჩატარებული[30]. ხშირად, რთულია განისაზღვროს ოქროს შუალედი რესტავრაციასა და გაყალბებას შორის, აღნიშნული საკითხის განხილვა სცილდება მოცემული კვლევის ფარგლებს და ცალკე შესწავლას მოითხოვს. რაც შეეხება პრობლემის იურიდიულ მხარეს, ასლის დამზადება ან ნივთის ცალკეული ნაწილების აღდგენა თაღლითურ გაყალბებაში მაშინ გადაიზრდება, როდესაც მყიდველისათვის არასწორად ხდება ინფორმაციის მიწოდება მისი სრული ან ნაწილობრივი დამზადების დროის, აღდგენის და ავტორის შესახებ. მაშინ, როდესაც ამ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, მყიდველს შეიძლება არ ეყიდა ან განსხვავებულ ფასში ეყიდა შეთავაზებული ნივთი.

ნაყალბევი ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობა მსოფლიო პრობლემას წარმოადგენს. ამ მხრივ სხვადასხვა ქვეყნებში, სამართლებრივი პრაქტიკა ერთგვაროვანია და გაყალბებული ანტიკვარული ნივთის გასაღებას თაღლითობით აკვალიფიცირებენ[31]. ინგლისურენოვან სივრცეში სპეციალური ტერმინი „Art freud" ანუ ხელოვნებასთან დაკავშირებული თაღლითობაც კი გამოიყენება[32]. თაღლითობისთვის ამოსავალი წერტილია მოტყუება, რასაც ჩვენს

30 L.Giombini – Conserving the Original: Authenticity in Art Restoration. Proceedings of the European Society for Aesthetics. Vol. 9, Fribourg, 2017, გვ.183-201; Art and Crime: Exploring the Dark Side of the Art World, Ed. by Noah Charney, London, 2009, გვ.79;

31 Crime in the Art and Antiquities World: Illegal Trafficking in Cultural Property. Ed. by Stefano Manacorda, Duncan Chappell. New York. Springer New York, 2011, გვ.57.; L.Amineddoleh – Are You Faux Real? An Examination of Art Forgery and the Legal Tools Protecting Art Collectors (May 26, 2015); Cardozo Arts & Entertainment Law Journal, Vol.34, N1 (Spring 2016), გვ.100-101;

32 Art and Crime: Exploring the Dark Side of the Art World, Ed. by Noah Charney, London, 2009, გვ.72;

შემთხვევაშიც აქვს ადგილი. პირს (დაზარალებულს), რომელიც ანტიკვარულ იარაღს ყიდულობს, არ მიეწოდება ან დამახინჯებულად მიეწოდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნივთი წარმოადგენს ასლს, რეპლიკას ან რომელიმე კონკრეტული დეტალი აქვს შეცვლილი ან დამატებული. აქ ამოსავალი წერტილია ის ფაქტორი, რომ აღნიშნული ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში მყიდველი ნივთს ან არ შეიძენდა ან შეიძენდა გაცილებით დაბალ ფასში. ამავე დროს, თავიდანვე, როდესაც გამყალბებელი ოსტატი შეკვეთას იღებს, ის ინფორმირებულია, რომ დასამზადებელი იარაღი ძველ იერს უნდა ატარებდეს ან უნდა იყოს რომელიმე პროტოტიპის ასლი. ხშირად, მსგავსი ძველებური სტილის იარაღის დამზადება ბაზარზე არსებული ტენდენციებით ხდება (რა ტიპის ანტიკვარული იარაღია სასურველი კოლექციონერებს ან მუზეუმებს შორის). ამდენად, დილერი, რომელიც მიიღებს ინფორმაციას, რომ კონკრეტულ მყიდველს აქვს სურვილი (ან დიდი ალბათობით გაუჩნდება სურვილი ნივთის შეთავაზების შემთხვევაში), შეიძინოს რომელიმე ტიპის ანტიკვარული იარაღი, უკვეთავს ოსტატს და შემდეგ მოტყუების გამოყენებით ასაღებს.

მსოფლიო მასშტაბით, ყალბი ანტიკვარიატით ვაჭრობაში ჩაბმული არიან ორგანიზებული დაჯგუფებები, რომელთათვისაც მიმზიდველია არამხოლოდ გაყალბებული ნივთების გაყიდვით მიღებული შემოსავლები, არამედ ფულის გათეთრების ის გზა, რასაც ხელოვნების ნიმუშების ვაჭრობით ეწევიან[33]. რათქმაუნდა, ეს ისე არ შეიძლება გავიგოთ, რომ მხოლოდ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების პრეროგატივაა სიძველეების გაყალბება, ამ მხრივ შეინიშნებიან მცირე ჯგუფებიც, რომლებიც ძირითადად გამყალბებელი ოსტატის, ექსპერტისა და დილერისგან შედგებიან[34]. განსხვავებით საზღვარგარეთის ქვეყნებისაგან, სადაც ანტიკვარების გაყალბებასა და გასაღებაში მსხვილი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებიც არიან ჩართული, საქართველოს შემთხვევაში, ჯერ

33 Crime in the Art and Antiquities World: Illegal Trafficking in Cultural Property. edited by Stefano Manacorda, Duncan Chappell. New York. Springer, 2011, გვ.188-189; Organised Crime in Art and Antiquities. Ed. by Stefano Manacorda, 2009, გვ.102. P.Chrzczonowicz – Organised crime in the art forgery market. Teise›s aplvalga. Law review. N2 (16), 2017, გვ.126-142;

34 იქვე, გვ.130; N.Charney – The Art Of Forgery, London, 2015, გვ.149;

ჯერობით მაინც, მსგავსი მასშტაბურობა არ შეინიშნება და უფრო მეტად, რამდენიმე პირისგან შედგენილ, მცირე ჯგუფებთან გვაქვს საქმე.

რათქმაუნდა, მხოლოდ პირთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს გაყალბებული ანტიკვარული იარაღის გასაღებაში მონაწილე ჯგუფების ორგანიზებულ ჯგუფებად არმიჩნევის ერთადერთი საფუძველი, რადგან ხშირად, ასეთ დანაშაულში მონაწილე პირთა რაოდენობა სამსაც აღემატება, ამავე დროს მათ გააჩნიათ ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნებიც (წევრები შეკავშირებული არიან იმავე დანაშაულის მრავალჯერ ჩასადენად, მათი მიზანია ფინანსური სარგებლის უკანონოდ მიღება), თუმცა მათ არ გააჩნიათ მკაცრი იერარქიული სტრუქტურა, რაც ორგანიზებული დანაშაულის არსებით ნიშანს წარმოადგენს[35]. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შემთხვევაშიც როლები დანაწილებულია (ანუ ოსტატი ამზადებს ნივთს, ნამზადი მიაქვთ შუამავალ, გადამტან პირებს, ხოლო მყიდველებთან ურთიერთობას აწარმოებს დილერი), ჯგუფებს შიგნით მკაცრი იერარქიული სტრუქტურა არ არსებობს, ანუ დილერს არ შეუძლია უბრძანოს კონკრეტულ ოსტატს და მიუთითოს როგორ მოიქცეს, ოსტატს შეუძლია მომდევნო შეკვეთა საერთოდ არ აიღოს, ხოლო დილერს შეუძლია საერთოდ არ გაასაღოს ნივთი, ანუ მოცემულ შემთხვევებში ჯგუფები, რომლებიც საქართველოში ანტიკვარული იარაღის გაყალბებას და თაღლითურად გასაღებას ეწევიან, უფრო ატარებენ საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯგუფების ნიშნებს, რომლებიც წინასწარ თანხმდებიან კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად. ამ შემთხვევაში, ჯგუფებს არ გააჩნიათ იმ ხარისხის სიმყარე, რაც ორგანიზებულ ჯგუფებისთვისაა დამახასიათებელი და მონაწილე პირებს რაოდენ დიდი დროის მანძილზეც არ უნდა ჰქონდეთ საერთო საქმეებში ურთიერთობა, ისინი მაინც დამოუ-

35 ორგანიზებული დანაშაულის ცნება და ნიშნები განხილულია ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში, იხ. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქარულ სისხლის სამართალში (ავტორთა კოლექტივი: გ.ნაჭყებია და სხვ.), თბილისი, 2012.; ზ.წულაია – კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი). თბილისი, 2003, გვ.225-235; მ.შალიკაშვილი – კრიმინოლოგია (სახელმძღვანელო), თბილისი, 2017, გვ.75-81;

კიდებელ სუბიექტებად რჩებიან და არა ურთიერთდამოკიდებულ პირებად. მართალია, მათაც საერთო მიზანი აერთიანებთ, მაგრამ ეს მიზანი მხოლოდ პირადი მატერიალური გამორჩენაა და არანაირი დამატებითი იდეოლოგიური ბაზისი (შიდა კოდექსის სახით) არ გააჩნიათ. ის, რომ ჯგუფის წევრები მაქსიმალურად შეთანხმებულად მოქმედებენ და ასაიდუმლოებენ საქმიანობას, მხოლოდ იმითაა განპირობებული, რომ დანაშაულებრივი საქმიანობის „ჩავარდნა" არცერთს „არ აწყობს", რადგან ამით პირად უსაფრთხოებას ექმნება საშიშროება. ყალბი ანტიკვარული იარაღის გასაღების მიზნით შეკავშირება სპონტანურ ხასიათს ატარებს და შეკვეთიდან ახალ შეკვეთამდე რაიმე ვალდებულებებს არ წარმოშობს, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად მოქმედებენ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ხოლო მათ შორის შეთანხმება მთავრდება ნივთის გასაღებისთანავე და თითოეული წევრის მიერ თავისი წილის მიღებისთანავე. ანუ სხვა დროს, ნებისმიერ ოსტატს შეუძლია სხვა დილერისაგანაც აიღოს შეკვეთა, ისევე როგორც დილერს შეუძლია სხვა ოსტატს დაუკვეთოს, ისე, რომ ერთმანეთს აღნიშნულის შესახებ საერთოდ არ აცნობონ ანუ უკვე სხვა პირის თაღლითურად მოსატყუებლად შეიქმნას სხვა ჯგუფი და მასში მიიღონ მონაწილეობა ძველი პარტნიორებისაგან დამოუკიდებლად.

რათქმაუნდა, არ გამოირიცხება ანტიკვარიატის გაყალბებასა და გასაღებაში ორგანიზებული ჯგუფების ჩართულობაც, ამ ტიპის დანაშაულის ტრანსნაციონალური ხასიათიდან გამომდინარე ყველაფერი შესაძლებელია, თუმცა საქართველოს რეალობაში, შესწავლილ მრავალ შემთხვევებში, ორგანიზებული დაჯგუფებების უშუალოდ ამ საქმით დაკავება არ გამოკვეთილა.

რაც შეეხება მოტივს, თუ რატომ აყალბებენ ანტიკვარულ ნივთებს, პირველ რიგში ეს მატერიალური სარგებელია. როგორც ზევით აღინიშნა, ანტიკვარიატის ბაზარი მზარდია და დიდი ფულის ბრუნვას უკავშირდება. თუმცა საზღვარგარეთულ პრაქტიკაში, გარდა ფინანსური სარგებლისა, შენიშნულია ზოგიერთი გამყალბებელი ოსტატების სხვა მოტივებიც, ასეთ შემთხვევებში ისინი ხელმოცარული ან გაბოროტებული ხელოვანები არიან, რომლებიც ხელოვნების ნიმუშის შექმნით და გასაღებით, ექსპერტებისა და მყიდველის შეცდომაში შეყვანით, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მაღალი კლასისანი

არიან[36]. არსებობს ასევე იდეოლოგიური მოტივებიც, როცა ქმნიან ყალბ ნივთს, რომელიც მათი მოსაზრებით, მაგალითად, ამყარებს მათი ეთნიკური წარმოშობის ქვეყნის რელიგიურ, პოლიტიკურ, კულტურულ იდენტობას და შეხედულებებს. თუმცა საქართველოში კვლევის ფარგლებში შესწავლილი შემთხვევების აბსოლუტური უმრავლესობა ფინანსურ სარგებელს უკავშირდებოდა[37].

III. ანტიკვარული იარაღის გაყალბების სახეები

საზღვარგარეთის სპეციალურ ლიტერატურაში, მათ შორის იურიდიულშიც, განხილულია ანტიკვარიატის გაყალბების სხვადასხვა სახეები[38], რაც შეეხება უშუალოდ ანტიკვარულ იარაღს, მას მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებს, მით უმეტეს საქართველოს სინამდვილეში, ამიტომ მეტი სიზუსტისთვის, სპეციფიკის გათვალისწინებით, მრავალწლიანი უშუალო დაკვირვების, სხვადასხვა ოსტატებისა და დილერების გამოკითხვის, ასეულობით ანტიკვარული იარაღის შესწავლისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, შესაძლებელი გახდა, გამოყოფილიყო ანტიკვარული იარაღის გაყალბების 7 სახე:

1. მთლიანად გაყალბება;
2. ნაწილობრივ გაყალბება;
3. გაძლიერება;
4. ნაწილობრივ აწყობა;

---

36 L.Amineddoleh – Are You Faux Real? An Examination of Art Forgery and the Legal Tools Protecting Art Collectors (May 26, 2015); Cardozo Arts & Entertainment Law Journal, Vol. 34, N1 (Spring 2016), გვ.96;

37 თუმცა ბოლო ხანებში დაფიქსირდა რამდენიმე საინტერესო შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა, გამყალბებელ ოსტატთა მცირე ჯგუფმა, დაამზადა რამდენიმე ხანჯალი, თავიანთი ანბანური ნიშნებით, რაც თითქოსდა ეკუთვნოდა ერთ-ერთ ცნობილ თბილისელ ოსტატს, რომელიც XVIII-XIX ს.-ის მიჯნაზე მოღვაწეობდა და რომლის ეთნიკურ წარმომავლობაზე დიდი ვნებათაღელვა იყო ატეხილი.

38 І.Ю. Поліщук, В.П. Колонюк – До питання визначення поняття пидробки твору мистецтва, Криміналістика і судова експертиза, вып. 65, Київ, გვ.679-68.; P.Chrzczonowicz – Organised crime in the art forgery market. Teise's aplvalga. Law review. N2 (16), 2017, გვ.133; L.Amineddoleh – Are You Faux Real? An Examination of Art Forgery and the Legal Tools Protecting Art Collectors (May 26, 2015); Cardozo Arts & Entertainment Law Journal, Vol. 34, N1 (Spring 2016), გვ.91;

5. მთლიანად აწყობა;
6. გადაკეთება;
7. ნივთის შესახებ არსებული მონაცემების შეცვლა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

1. მთლიანად გაყალბებული ნივთის ყველა ნაწილი არის ახალი მასალით ახლად შექმნილი [39]. ამისათვის იყენებენ მიმსგავსებულ ან ანალოგიურ ნივთიერებას და მასალას, როგორიც იმ პერიოდისათვის იყო გავრცელებული, რა დროის ნივთიც გააყალბეს. ოსტატი ნივთისათვის ძველებური იერის მისაცემად, როგორც წესი, იყენებს სხვადასხვა ალბომში დაბეჭდილ პროტოტიპს, რომელსაც ან პირდაპირ ბაძავს ან გარკვეული ცვლილება შეაქვს ვიზუალურ მხარეში. ხშირად გვხვდება ნივთები, რომელსაც ძველი ანალოგი არც გააჩნია, გამყალბებელი უბრალოდ იღებს იმ პერიოდში არსებულ რომელიმე სტილს და თავისი ფანტაზიით ახდენს მისადაგებას, ორნამენტსაც თავად იგონებს ძველ სტილში. ნივთის გაყალბებისას გამოყენებულია რკინის, ვერცხლის, ტყავის თუ ხის დაძველების ქიმიური და მექანიკური მეთოდები.

2. ნაწილობრივ გაყალბებული ნივთები იმით გამოირჩევიან, რომ მათი ნაწილი ავთენტურია, ხოლო ცალკეული დეტალები შეცვლილია და ახლითაა ჩანაცვლებული[40], შემდეგ კი სხვადასხვა მეთოდებით სიძველის ეფექტი აქვს მიცემული. მაგალითად, ძველ ხანჯალზე შეცვლილია ქარქაშის ან ბუნიკის ვერცხლის დეტალები ახლით, ამ უკანასკნელზე ასახული ორნამენტები დამზადებულია შემორჩენილი დეტალების მიხედვით, რათა ნივთი ერთიანობაში იქნეს აღქმული, როგორც ავთენტური. გაყალბების მსგავს მეთოდს ხელოვნების სხვა ნიმუშებზეც იყენებენ[41].

3. გაძლიერებული შეიძლება ეწოდოს ნივთს, სადაც მცირე ჩარევაა ავთენტურ დეტალზე, რაც ნივთის ფასს ზრდის, ასეთ დროს, უმეტეს შემთხვევაში, ნივთზე აკეთებენ წარწერას, გამოსახავენ

---

39 P.Chrzczonowicz – Organised crime in the art forgery market. Teise's aplvalga. Law review, N2 (16), 2017, გვ.133;

40 იქვე;

41 L.Amineddoleh, Are You Faux Real? An Examination of Art Forgery and the Legal Tools Protecting Art Collectors (May 26, 2015); Cardozo Arts & Entertainment Law Journal, Vol. 34, N1 (Spring 2016), გვ.91;

გერბს[42], რეგიონისთვის მახასიათებელ ორნამენტს ან ამაგრებენ რაიმე ისეთ დეტალს (მაგალითად, ხმალზე წმ. ანას, წმ. გიორგის ორდენი და ა.შ.), რომლის გარეშე ნივთი იმ ფასად არ გაიყიდებოდა. წარწერას ხშირად რომელიმე ცნობილი პირის ან საგვარეულოსას ადებენ, რასაც მყიდველი შეჰყავს შეცდომაში, რომ ესა თუ ის ნივთი თითქოსდა ეკუთვნოდა რომელიმე ცნობილ პირს ან საგვარეულოს წარმომადგენელს. წარწერას ან უბრალოდ დაიტანენ გრავირების (საჭრეთელით ამოჭრის) მეთოდით, ან ზედაპირზე ოქროს, ვერცხლის ან თითბრის ზარნიშით (მაგალითად, მჭრელი იარაღის პირებზე, ვადაჯვარზე ან ჩაჩქანის კვერცხზე), ან სევადით და მჟავით ამოჭმის მეთოდით. ხშირია ორნამენტის დამატებაც, რაც ნივთს ვიზუალურად უფრო მდიდრულ იერს სძენს, ან რეგიონალურ წარმომავლობას უსვამს ხაზს და ფასსაც ზრდის.

4. ნაწილობრივ აწყობილი ნივთები იმით გამოირჩევიან, რომ რომელიმე სხვა ძველი ნივთის კუთვნილი დეტალები გადმოტანილია მეორე ავთენტურ ნივთზე, რომლის გაყიდვასაც ცდილობენ. მაგალითად, გასაყიდი ხანჯალი ავთენტურია, თუმცა მისი უბრალო ვერცხლის მოქლონები ჩაანაცვლეს სხვა, უფრო მდიდრული, ავთენტური ხანჯლის ვერცხლის მოქლონებით. ამ შემთხვევაში გადმოტანილი დეტალების რაიმე არსებითი გადაკეთება არ ხდება, უბრალოდ გადმოაქვთ ახალ ნივთზე.

5. მთლიანად აწყობილი ნივთი ყველაზე რთული ამოსაცნობია, რადგან ასეთ დროს იგი სხვადასხვა ავთენტური იარაღის დეტალებითაა შექმნილი (უხეშად რომ ვთქვათ – შეკონწიწებული), ანუ ცალკე აღებული ყველა დეტალი ავთენტურია. მაგალითად, გასაყიდია უვადო ხმალი (ლეკური), რომლის პირი სხვა ავთენტური ხმლისაა (მფლობელის წარწერით), ქარქაშის ხე და ტყავი სხვა ძველი ხმლის, ვერცხლის დეტალები – მესამე ხმლის და ტარზე დამაგრებულია ნამდვილი წმ. ანას ორდენი, რომელიც ამ ტარზე ადრე არ ყოფილა. ასეთ დროს, გამოდის, რომ ცალკე აღებული თითოეული დეტალი ნამდვილად ძველია, თუმცა ყალბია თავად კონტექსტი, რადგან ასეთი გაფორმებით ეს ხმალი მანამდე არ არსებობდა და ძველი დეტალებით ააწყო თანამედროვე ოსტატმა.

6. გადაკეთებული ნივთები აწყობილებისგან იმით გამოირჩევ-

42 В.Н. Хорев – Антикварное оружие. Экспертиза и реставрация, Ростов-на-Дону, 2011, გვ.369;

იან, რომ მისი ცალკეული ავთენტური დეტალები არის მკვეთრად გადაკეთებული, ისე, რომ სულ სხვა ფორმა აქვს მიღებული ან დანიშნულება აქვს შეცვლილი. მაგალითად, გასაყიდი ხანჯლის პირი ავთენტურია, მაგრამ სალესზე შეცვლილია მისი გეომეტრიული მოყვანილობა და დამსგავსებულია უფრო ადრეულ ტიპებს, რაც უფრო ძვირად ფასობს[43].

7. ნივთის შესახებ არსებული მონაცემების შეცვლა ძირითადად დაკავშირებულია ნივთის წარმომავლობის შესახებ რაიმე ლეგენდის შეთხზვასთან, რომ ამ ნივთს ფლობდა რომელიმე გამოჩენილი პირი ან ინახებოდა სადმე სოფელში „სხვენში" და ა.შ. შესაბამისად, ის თითქოსდა „ნამდვილად ძველია". უცხოეთის კოლექციონერთა და სამუზეუმო წრეებში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ნივთის სანდოობის შესაფასებლად, გავრცელებულია ნივთის წარმომავლობის კვლევა ანუ სად ინახებოდა მის გასაყიდად გამოტანამდე, ამისთვის სწავლობენ დოკუმენტებსაც, ამიტომ უცხოეთში, ნივთის გაყალბების სახეებს ემატება კიდევ ერთი – იარაღის წარმომავლობის დოკუმენტების გაყალბება[44]. ჩვენთან კი წერილობით გაფორმებული, საკოლექციო ძველებური იარაღის ფლობის უწყვეტი ტრადიცია ოკუპაციის პირობებში არ არსებულა, ძველი იარაღი დოკუმენტირებული არასოდეს ყოფილა, ამიტომ საქართველოშივე ყალბი დოკუმენტების დამზადება და გასაყიდ ნივთზე გაყოლება, ნაკლებ მოსალოდნელია. თუმცა ადგილობრივი თანამედროვე ოსტატებისთვის გასაღების ბაზარი ძირითადად საზღვარგარეთია, შესაბამისად, მსგავსი დოკუმენტაციის შექმნა სწორედ უცხოეთში ხდება (მაგალითად, ესა თუ ის ნივთი, თითქოსდა მომდინარეობს რომელიმე გრაფის კოლექციიდან და არა თანამედროვე თბილისიდან). საქართველოს პირობებში კი იარაღის წარმომავლობასთან და-

43 მაგალითად, ადრეულ თბილისურ ხანჯლების პირებზე (1850-იან წლებამდე დამზადებულებზე) გვხვდება ღარებში არსებული დამასკური ფოლადი. თუმცა ადრეული თბილისური პირები (განსაკუთრებით 1830-იან წლებამდელი) თითქმის აღარ გვხვდება გაყიდვაში და ისინი განსაკუთრებით ძვირად ფასობს საზღვარგარეთ, ამიტომ ძველ აჭარულ-გურული ხანჯლის პირს (რომელიც ასევე დამასკური ფოლადით მზადდებოდა და შედარებით იშოვება) სალესზე აძლევენ თბილისური ხანჯლის მოყვანილობას და შეიძლება დაამატონ ჭვირული ორნამენტიც, რაც ასევე თბილისისთვის იყო დამახასიათებელი;

44 Organised Crime in Art and Antiquities. Ed. Stefano Manacorda, 2009, გვ.10, 36, 91; Scientific Investigation of Copies, Fakes and Forgeries, Ed. by Paul Craddock, Oxford, Butterworth-Heinemann, 2009, გვ.17-18;

კავშირებული ცრუ ლეგენდის შექმნა, გარდა ზეპირი გადმოცემისა, მისი „გაძლიერებით“ ანუ უშუალოდ ნივთზე წარწერის დამატებითაც არის შესაძლებელი. თუმცა სამომავლოდ არც რაიმე წერილობითი დოკუმენტის (თუნდაც „სპეციალისტის“ დასკვნა) შექმნაა გამორიცხული. უცხოეთის გამოცდილებით, გამყალბებლებს შორის ასევე გავრცელებულია სამეცნიერო ნაშრომში, მასმედიაში გაყალბებული ნივთის გამოქვეყნებაც, რაც ნივთის ავთენტობის და წარმომავლობის შესახებ ნდობას კიდევ უფრო ამაღლებს და ხელოვნურად ახდენს ნივთის „დოკუმენტირებას“[45].

ძველებური იარაღის გაყალბებისას გამოყენებული ქიმიური და მექანიკური მეთოდები მრავალფეროვანია: ტენიან გარემოში მოთავსება, ნაკელში ჩამარხვა, ავტომანქანის საბარგულში მოთავსება სხვადასხვა რკინის ინსტრუმენტებთან ერთად, ხახუნისას მიკროდაზიანებების გამოწვევის მიზნით[46], აბრაზიული მასალებით ზედაპირის დამუშავება. ასევე იყენებენ პატინის და ჟანგის ხელოვნურად მიღების ქიმიურ ხერხებს: სხვადასხვა მჟავებით, სოდით, პოტაშით, ძმრით, გოგირდით, ნატრიუმის სხვადასხვა ნაერთებით დამუშავებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასევე ხელმისაწვდომია სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სპეციალური ნივთიერებები, რომელსაც კანონიერად მოქმედი ხელოსნები იყენებენ ნივთებისათვის „ვინტაჟური“ იერის მისაცემად. მაგალითად სპეციალური საცხი გოგირდის ფუძეზე, ვერცხლის გასაშავებლად და ა.შ. რა დროსაც ხდება ნამზადისათვის ძველი იერის მინიჭება. მსგავსი ხერხები მეტად მრავალფეროვანია და გამყალბებელი ოსტატების კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული თუ რომელს შეარჩევენ კონკრეტულ შემთხვევაში.

სხვადასხვა ანტიკვარული ნივთების ავთენტური დეტალები (განსაკუთრებით ხმლებისა და ხანჯლების), ჯერ კიდევ მრავლად გვხვდება საქართველოში. თავად ხელოსნები და დილერებიც დადიან რაიონებსა თუ ქალაქებში და იბარებენ ოჯახებში შემორჩენილ მსგავს საგნებს. ძველი ხმლის პირები შემოაქვთ უცხოეთიდანაც ძალზედ იაფად[47], საქართველოში კი მას „კავკასიურ სტილში“ ამკო-

45 P.Chrzczonowicz – Organised crime in the art forgery market, Teise's aplvalga. Law review. N2 (16), 2017, გვ.136;

46 В.Н. Хорев – Антикварное оружие. Экспертиза и реставрация, Ростов-на-Дону, 2011, გვ.76;

47 გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში (და კავკასიაშიც) ევროპული ხმლის

ბენ და გაცილებით ძვირად ყიდიან, როგორც, თითქოსდა კავკასიის მცხოვრების მფლობელობაში ნამყოფს.

ძვირფასი ლითონის დეტალებს მოსახლეობის ნაწილიც აბარებს საოქრომჭედლო ობიექტებში ჯართის სახითაც და მათი შოვნა პრობლემას არ წარმოადგენს. ზოგიერთ ხელოსანს ძველი იარაღების დეტალების (ძველი თოფის ლულები, ხმლისა და ხანჯლის პირები, ვერცხლის და სპილოს ძვლის დეტალები) ნამდვილი მარაგიც აქვს მოწყობილი.

ყალბისმქნელები, გარდა ვერცხლის სხვადასხვა დანიშნულების დეტალებისა, ასევე ძველმანების ბაზრობებზე ეძებენ და აგროვებენ ძველი ხის, ტყავის[48], რქის, ბარხატის საყოფაცხოვრებო ნივთებს (ადრეულ თბილისურ ცივ იარაღს ბარხატი ჰქონდა ქარქაშზე), რომლებსაც შემდგომ შლიან და იყენებენ იარაღის დამზადების დროს, ასეთი მასალა გადაკეთების შემდეგ ავთენტურ იერს ატარებს და მაქსიმალურად გამორიცხავს ეჭვს მათი გაყალბების შესაძლებლობის შესახებ. რაც განსაკუთრებით ყურადსაღებია, ყალბისმქმნელები თავად ამზადებენ ძველი დამღების ანალოგებსაც, რომლებითაც დამღავენ იარაღის ფოლადის თუ ვერცხლის დეტალებს. გავრცელებულია, როგორც ოსტატების დამღების, ასევე ძვირფასი ლითონების დასადამღი იმპერიის პერიოდის სახელმწიფო სინჯის აღმნიშვნელი დამღების დამზადებაც[49], რასაც დამატებითი დამარწმუნებელი ეფექტი აქვს მყიდველისთვის.

პირების იმპორტი ძალზედ გავრცელებული იყო. დღეის მდგომარეობით, კავკასიური (და ქართული) შემორჩენილი ხმლების დიდ ნაწილს სწორედ ევროპული ან ევროპულის მინაბაძი პირები აქვთ. ამ ფაქტორს კარგად იყენებენ გამყალბებლებიც;

48 ხანდახან, ქარქაშზე შეცდომით გადაკრული ღორის ტყავიც გვხვდება ხოლმე, რაც ჩრდილო კავკასიური იარაღისთვის შეუთავსებელი მოვლენაა. იხ. В.Н. Хорев – Антикварное оружие. Экспертиза и реставрация, Ростов-на-Дону, 2011, გვ.379; სტატიაზე მუშაობისას, მონაცემების შეგროვების ფარგლებში, ერთ-ერთი ხანჯლის შესწავლისას, რომელიც თითქოსდა ჩრდილო კავკასიელ მუსლიმ სასულიერო მოღვაწეს ეკუთვნოდა, აღმოჩნდა, რომ გამყალბებლების მიერ, ქარქაშზე ღორის ტყავი იყო გადაკრული.

49 ძვირფასი ლითონის სინჯის აღმნიშვნელი ყალბი დამღების დამზადება ადრევე იყო გავრცელებული. მაგალითად, მსგავსი შემთხვევა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც გამოვლენილა, რისთვისაც ხელოსნები დაუპატიმრებიათ. იხ. სახალხო საქმე (საქ. სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო). N 827, 16 მაისი, თბილისი, 1920, გვ.3;

IV. ყალბი ანტიკვარული იარაღის დამზადების და გაყიდვის სქემა

საქართველოში ძირითადად ყალბდება კავკასიური სტილის ანტიკვარული იარაღი, თუმცა გვხვდება ოსმალური, სპარსული, სირიული, რუსული იარაღის გაყალბების შემთხვევებიც, მათი ძირითადი ნაწილი შეკვეთით მზადდება და თავიდანვე განპირობებულია კონკრეტული მიზნით, კონკრეტულ პირებზე თუ ორგანიზაციებზე მოტყუებით, თაღლითური გზით გასაყიდად. არის შემთხვევები, როდესაც გამყალბებელი ოსტატი უკვე დამზადებულ ნივთს მიაწვდის თავის მუდმივ, სანდო მეკავშირეს (დილერს) საზღვარგარეთ, ეს უკანასკნელი კი ამის შემდეგ იწყებს ნივთის შესაძლო მყიდველის ძებნას. გაყალბებული ანტიკვარული იარაღის დიდი ნაწილი უცხოეთში შავ ბაზარზე იყიდება, ნაწილი კი იქვე ლეგალურ აუქციონებსა და ანტიკვარულ მაღაზიებშიც ხვდება. გასაყალბებელი ნივთების თემატიკის შერჩევა ბაზარზე არსებული ტენდენციებით არის ნაკარნახევი. იმის მიხედვით, თუ რომელი ტიპის ან რეგიონის ძველებური იარაღი შემოდის მოდაში, შესაბამისი პროდუქციით ჯერდება ბაზარი.

ნივთი, სანამ უშუალოდ მყიდველამდე მიაღწევდეს, რამდენიმე რგოლს გაივლის, ყალბი იარაღის დამამზადებელი ოსტატი პირველი რგოლია, სწორედ მისგან მომდინარეობს ნაყალბევი ნივთი, რომელიც მოტყუების გზით უნდა გაასაღონ. გამყალბებელი შეიძლება მუშაობდეს მარტო, ჰყავდეს მხოლოდ ერთი პარტნიორი ან იყოს ჯგუფის წევრი. ანალოგიური პრაქტიკა გვხვდება უცხოეთშიც[50].

გამყალბებელი ოსტატი მუდამ ჩრდილშია და ასაიდუმლოებს თავის საქმიანობას, მასთან კავშირი აქვს სანდო პირებს. მას შემდეგ, რაც ოსტატი იღებს შეკვეთას, უკვე თავად უზრუნველყოფს ნივთის სრულად დამზადებას და მიწოდებას. ხშირად, კოორდინირებულად მოქმედებს ორი ან მეტი ოსტატი, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ ნივთის სრულყოფაზე, თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამისად, ისინი ინფორმირებული არიან, რომ ნივთი თაღლითური გასაღებისათვის მზადდება.

არსებობს შემთხვევები, როცა ნივთის დამამზადებელი ძირითა-

---

50 P. Chrzczonowicz – Organised crime in the art forgery market. Teise's aplvalga. Law review, N2 (16), 2017, გვ.133;

დი ოსტატი ანაწილებს სამუშაოს და ცალკეულ დეტალებს უკვეთავს სხვა პირებს (პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ქვეოსტატი). ასეთ დროს, უმეტეს შემთხვევაში, ქვეოსტატებისთვის უცნობი რჩება თაღლითობაში მონაწილე ზედა რგოლები, მათ უშუალო კავშირი მხოლოდ ძირითად ოსტატთან აქვთ, როგორც საქმის გამანაწილებელთან და ისიც იმ დოზით, რაც კონკრეტული დეტალის დამუშავებას სჭირდება. ყველა ასეთ ოსტატს, რომელიც მუდმივად იღებს შეკვეთებს, თავისი მუდმივი ქვეოსტატები ჰყავს, რომლებიც სისტემატურად თანამშრომლობენ მასთან. პირველი (ძირითადი) ოსტატი, როგორც წესი, თავად უზრუნველყოფს შემკვეთთან ურთიერთობას და უმეტესად, ქვეოსტატი მოკლებულია ყოველგვარ ინფორმაციას, რისთვის მზადდება ნივთი, ის უბრალოდ ასრულებს თავის წილ სამუშაოს (მაგალითად, მჭრელი იარაღის პირის დამზადებას, ზარნიშს, ტყავის გადაკვრა-დაძველებას და ა.შ.) და იღებს გასამრჯელოს, ამის შემდეგ ნამზადთან შეხება აღარ აქვს. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ოსტატი ქვეოსტატს პირადი ახლო ურთიერთობიდან გამომდინარე საქმის კურსშიც აყენებს მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციით[51].

ამრიგად, გაყალბებულ ნაკეთობათა კლასიფიკაცია, მათი დამამზადებელების მიხედვით, შეიძლება შემდეგნაირად მოვახდინოთ:

1. ნაკეთობა, რომელსაც თავიდან ბოლომდე ერთი პირი ამზადებს;
2. ნაკეთობა, რომელსაც ორი ან მეტი პირი ამზადებს ერთმანეთთან მჭიდრო კოორდინაციით, მათთვის თანაბრად ცნობილია ძირითადი მიზნის შესახებ;
3. ნაკეთობა, რომელსაც ორი ან მეტი პირი ამზადებს, თუმცა მხოლოდ ერთია საქმის კურსში ძირითადი მიზნის შესახებ.

უმეტეს შემთხვევაში, ოსტატი გვევლინება ერთ-ერთ აქტიურ პირად, რომელიც მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას იყენებს,

---

51 ხელოსანი, რომელსაც თანაბრად შეუძლია ყველა მასალაზე მუშაობა, იშვიათია, ხშირ შემთხვევაში, გაყალბებული ნივთის შექმნაში რამდენიმე ოსტატი იღებს მონაწილეობას, ანუ გაყალბებაში ჩართულია ორი ან მეტი ოსტატი, ამიტომ იმისათვის, რომ გამოვკვეთოთ თანამონაწილეობა, ამისათვის, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს თანამონაწილეობის სუბიექტური და ობიექტური პირობები. სუბიექტური თვალსაზრისით აუცილებელია ორი ან მეტი პირის საერთო დანაშაულებრივი განზრახვის არსებობა, ობიექტური თვალსაზრისით კი – ქმედებათა ერთობლიობა, როლების შესაბამისად;

რათა ნივთი გააყალბოს და მიაწოდოს დამკვეთს, მაქსიმალურად პროფესიონალურად შესრულებული სიძველის ეფექტით. ამავე დროს, ზოგჯერ ოსტატი საქმის კურსშია თუ სად და ვისი მოტყუება ხდება, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მას მუდმივ კავშირზე მყოფი დილერი აწვდის ინფორმაციას თუ როგორი ნივთი ესაჭიროება, ხოლო უშუალოდ მომავალ მსხვერპლზე ინფორმაცია მისთვის უცნობია.

არსებობს ისეთი იშვიათი შემთხვევები, როდესაც გაყალბებულ ნივთს ოსტატი ადგილზევე უკეთებს რეალიზაციას, ყოველგვარი არხების მოძიების და შუა რგოლების (დილერების) გარეშე[52]. ასეთი ფაქტები განსაკუთრებით გახშირდა პანდემიის შემდეგ, რაც რუსეთის და სხვა ქვეყნების ანტიკვარების ბაზარზე ნაყალბევი ნივთების მიწოდება გაჭირდა და ბევრს საქონელი „ჩაუწვა", რის გამოც იძულებული გახდნენ, ადგილობრივ ბაზარზე მოეხდინათ რეალიზება, რათქმაუნდა იმაზე ნაკლებ ფასში, რასაც უცხოეთში აიღებდნენ.

შემდეგი რგოლი, რომელიც გაყალბებული ანტიკვარული იარაღის გასაღების სქემაში შეიძლება იყოს, არის დილერი ანუ ანტიკვარული იარაღით მოვაჭრე, თუმცა მსგავსი ტიპის ჯგუფები, სადაც მხოლოდ ოსტატი და დილერი ფიგურირებენ იშვიათია და უფრო ხშირად, საქმეში ჩართული არიან სხვა რგოლებიც, მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში დილერს (განსაკუთრებით, თუ უცხოელია), პირდაპირი შეხება გამყალბებელ ოსტატთან არ აქვს და მათ შორის ისეთი პირი ფიგურირებს, რომელიც ორივე მხარის ნდობით სარგებლობს. არის შემთხვევები, როდესაც მას შემდეგ, რაც ნივთი საქართველოს ფარგლებს დატოვებს, სანამ უშუალოდ მყიდველამდე მივა, რამდენიმე დილერსაც გაივლის. სწორედ დილერია ის რგოლი, რომელსაც თაღლითურ სქემაში წამყვანი ადგილი უჭირავს, მას აქვს უშუალო კავშირები პოტენციურ მყიდველებთან. ანტიკვარული იარაღით თაღლითობების უმრავლესი შემთხვევა სწორედ დილერების მეშვეობით წარმოებს. ამან განაპირობა დილერებისადმი უარყ-

52 ბოლო პერიოდში, საქართველოს ანტიკვარების ბაზარზე, შეინიშნება ტრადიციული ვერცხლეულის გაყალბების შემთხვევებიც, მაგალითად, ძველი ქართული ვერცხლის სასმისების (კულა, ყარყარა, თასი და ა.შ.), როგორც ჩანს, საქართველოში მეღვინეობის სეგმენტის გაძლიერებამ, სადაც მუზეუმის ტიპის კუთხეების მოწყობა უკვე ტრადიციად იქცა, მსგავსი ტიპის ანტიკვარულ ნივთებზე მოთხოვნა გააჩინა, რამაც ყალბისმქნელების ყურადღებაც მიიპყრო.

ოფითი დამოკიდებულებაც. ბრიტანეთის მუზეუმის ადმინისტრატორის, ლონდონის ანტიკვართა საზოგადოების დირექტორის და ლეგენდარული კოლექციონერის აუგუსტუს უოლასტონ ფრანკსის (1826-1897) სიტყვებით რომ ვთქვათ: „ანტიკვარული ობიექტების ღირებულება ხშირად იკარგება, როდესაც ისინი გაივლის დილერთა ხელში, მათი ავთენტურობა ნადგურდება და მათი ისტორია მახინჯდება“ [53].

გაყალბებული ანტიკვარული იარაღის გაყიდვა დიდ დახელოვნებას და ოსტატობას მოითხოვს, დილერის საქმიანობა მთლიანად მის რეპუტაციაზეა დამოკიდებული, ამიტომ დილერი, რომელიც ყალბი ნივთის გასაღებაში არის შენიშნული, ბუნებრივია, კარგავს ნდობას მყიდველებში. მყიდველები კი, უმეტესად მუდმივი კლიენტები არიან და ხშირად ყველა დილერს თავისი მუდმივი კლიენტი ჰყავს.

როგორც აღინიშნა, გაყალბებული ანტიკვარული იარაღის ძირითადი ნაწილი საზღვარგარეთ იგზავნება, ზოგჯერ იგივე დამამზადებელი ოსტატები უზრუნველყოფენ ნივთების საზღვარგარეთ გატანას, რისთვისაც ეძებენ სათანადო არხებს, რათქმაუნდა იმ შემთხვევაში, თუკი საქმეში ადგილობრივი დილერი არ არის ჩართული, რომელიც სასაზღვრო საკითხებში თავად ერკვევა. საქართველოდან ნივთის გაგზავნა უმეტეს შემთხვევაში კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საბაჟო პროცედურების გვერდის ავლით ხდება, რაც ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ რაც შეიძლება ნაკლები ინფორმაცია და კვალი დარჩეს ადგილწარმოშობის ქვეყანაში და ამით უზრუნველყოფილი იყოს არამხოლოდ ოსტატის უსაფრთხოება, არამედ სქემაში მონაწილე სხვა პირებისიც. წესით, კულტურისა და სპორტის სამინისტროში მოქმედი კომისია, შემოწმების შემდეგ, უზრუნველყოფს შესაბამისი ნებართვის გაცემას, რათა ნივთი გაიტანონ საზღვარგარეთ, შესამოწმებლად წარდგენა კი თაღლითურ სქემაში ჩართულ მონაწილეებს ბევრი მიზეზის გამო არ სურთ, ამიტომ გატანას საბაჟო პროცედურების გვერდის ავლით ახდენენ სხვადასხვა გზებით[54].

---

53 M. Westgarth – SOLD!: The Great British Antiques Story, Bowes Museum, 2019, გვ.33;

54 მაგალითად, ერთ-ერთი ხერხია ანტიკვარული იარაღის სატვირთო-სატრანზიტო ავტომანქანით გადატანა სომხეთის რესპუბლიკის ან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, საიდანაც შემდეგ უპრობლემოდ ხდება ნივთის მიწოდება

ბუნებრივია, მყიდველი, რომელიც სოლიდურ თანხას იხდის ანტიკვარულ ნივთში, მაქსიმალურად მოწადინებულია დარწმუნდეს ნივთის ავთენტურობაში, შესაბამისად, გაყალბებაში ჩართულ პირებს ასევე ემატებიან ხელოვნებათმცოდნე (იარაღმცოდნე) შემფასებლები (სპეციალისტები, ექსპერტები). მათ მიერ გაცემული დასკვნა მრავალწილად განსაზღვრავს გასაყიდი ხელოვნების ნიმუშის ფასს ბაზარზე[55]. ექსპერტები, სათანადო თანხების სანაცვლოდ, თავიანთ დასკვნებში ასაბუთებენ ნივთების ავთენტურობას და სიძველეს, უფრო ზუსტად, ამართლებენ სიყალბეს[56]. რათქმაუნდა, აქ საუბარია იმ პირებზე, რომლებიც განზრახ იძლევიან მსგავს დასკვნებს და არა პირებზე, რომლებიც შეცდომაში არიან შეყვანილი[57]. ტექნოლოგიების განვითარების და გაყალბებაში ჩართული პირების გაწაფვის პარალელურად, შეცდომების ალბათობა რათქმაუნდა იზრდება. თუმცა, ყალბი ანტიკვარული იარაღით მოვაჭრეებს თავისი მუდმივი კერძო ექსპერტებიც ჰყავთ, რომლებიც, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მზად არიან სასურველი დასკვნა გასცენ. გასაყიდ ნივთზე თანდართული „ექსპერტის დასკვნა" კი მსხვერპლის მოტყუების ალბათობას კიდევ უფრო ზრდის.

ნივთის სიყალბის გამოაშკარავება გასაღებაში მონაწილე არცერთ პირს ხელს არ აძლევს, რადგან ამას შესაძლებელია მოჰყვეს ნეგატიური შედეგები, ყველაზე ნაკლებად – სამართლებრივი, რადგან საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს მსგავსი სქემების გამოვლენის და პირთა დასჯის არანაირი პრაქტიკა არ აქვთ. აქ საუბარია გავლენიანი მყიდველების მხრიდან უკანონო გზებით პირად ანგარიშსწორებაზე.

ანტიკვარული იარაღით ვაჭრობა საკმაოდ სარფიან საქმედ

მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში.

55 L.Amineddoleh – Are You Faux Real? An Examination of Art Forgery and the Legal Tools Protecting Art Collectors (May 26, 2015); Cardozo Arts & Entertainment Law Journal, Vol. 34, N1 (Spring 2016), გვ.69;

56 P. Chrzczonowicz – Organised crime in the art forgery market. Teise's aplvalga. Law review. N2 (16), 2017, გვ.130;

57 ხშირად, ექსპერტი იმაზე უფრო ძვირად ან იაფად აფასებს ნივთს, ვიდრე სინამდვილეში ღირს, ამ შემთხვევაში, მისი პასუხისმგებლობის საკითხის შესაფასებლად მნიშვნელობა ენიჭება განზრახვას, იხ. І.Ю. Поліщук, В.П. Колонюк – До питання визначення поняття пидробки твору мистецтва, Криміналістика і судова експертиза, вып. 65, Київ, გვ.680;

ითვლება. ავთენტური კავკასიური იარაღის ფასები რამდენიმე ათასიდან რამდენიმე ათეულ ათას ევრომდე (აშშ დოლარამდე) მერყეობს[58]. აქ ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი, როგორც იარაღთან დაკავშირებული ლეგენდა (ვის ეკუთვნოდა მემორიალური ნივთი), ასევე მისი დამამზადებელი ცნობილი ოსტატი, ტექნიკა და ისტორიული ეპოქა[59], რაც გასაყიდი ნივთის ფასს მრავალჯერ ზრდის და შესაძლოა ასი ათას ევროსაც გადააჭარბოს. თავის მხრივ, ანტიკვარული იარაღის მაღალი ფასები გამყალბებლებს უბიძგებს შექმნან მსგავსი ნივთები, თუმცა ბუნებრივია, რომ ასეთი ძვირადღირებული ნივთების ყალბი ასლების მასიურ წარმოებაზე ვერ ვისაუბრებთ, ისინი ერთეულები იქმნება და დილერების მხრიდან მოითხოვს დროის განსაკუთრებულად ფრთხილ შერჩევას, რომ მყიდველში ეჭვი არ გამოიწვიოს. ამისათვის დილერს, რომ იტყვიან, კოლექციონერთა შორის მოთხოვნის მაჯაზე უდევს ხელი, აკვირდება ტენდენციებს, თუ რა ტიპის საკოლექციო იარაღი ხდება პოპულარული და რაზე იქმნება მოთხოვნა, რის შემდეგაც ოსტატს ამზადებინებს ნივთებს და ცდილობს გაყიდვას[60]. მაგალითად, ბოლო რამდენიმე წელია, კავკასიური იარაღის მოყვარულებს შორის მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა XIX ს.-ის დასაწყისის თბილისურ იარაღზე, ამიტომ მომრავლდა ადრეულ თბილისურ სტილში დამზადებული ნაყალბევი იარაღი, მათ შორის, თითქოსდა ცნობილი მეიარაღე გეურქ ელიარაშვილის მიერ დამზადებული ხმლები და

58 მაგ. 2023 წლის თებერვალში ერთ-ერთ იტალიურ აუქციონზე გატანილი ქართული ხმალი 22 000 ევროდ გაიყიდა, რასაც ემატება პროცენტები 7000 ევროს ოდენობით. ანუ საერთო ჯამში მყიდველმა 27 000 ევრო გადაიხდა იხ. https://www.capitoliumart.com/en/lotto/a-caucasian-cerimonial-shashka-eastern-europe-17th-century/xlt-106982 (ბოლო შესვლა 02.08.2024);

59 ამ მხრივ, ნაყალბევი ანტიკვარული იარაღი ხელოვნების სხვა დარგების სიყალბეთა რაოდენობასთან ახლოსაც ვერ მივა, მაგალითად, მხოლოდ აშშ-ში, XX ს.-ის დასაწყისში „რემბრანტის" 9428 ტილო ინახებოდა, იხ. Art and Crime: Exploring the Dark Side of the Art World, Ed. by Noah Charney, London, 2009, გვ.76;

60 მაგალითად, 1990-იანი წლების რუსეთში მოდური გახდა ვლადიკავკაზელი ცნობილი ოსტატების გუზუნოვის, ოსმანის და სხვათა მიერ კაზაკებისათვის დამზადებული უვადო ხმლები („შაშკები"), რის შემდეგაც მათზე ფასები მკვეთრად გაიზარდა და შესაბამისად ბაზარიც გაჯერდა ამ ოსტატების სახელობის ნაყალბევი ხმლებით;

ხანჯლები, არადა ამ ოსტატის მიერ დამზადებული იარაღი არათუ XXI-ე საუკუნეში, არამედ მისი გარდაცვალებისთანავე მალევე, უკვე ძლიერ იშვიათობად იყო ქცეული[61].

V. ნამდვილობის დადგენა (აუთენტიფიკაცია)

მუზეუმები, კოლექციონერები თუ სახელგანთქმული სააუქციონო სახლები მაქსიმალურად ცდილობენ, რომ გაყალბებული ნივთები არ მოხვდეს მათი ობიექტების სიაში, რათა ამით არ შეილახოს მათი პრესტიჟი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კავკასიური (და ქართული) იარაღის სპეციალისტები, როგორც წესი, დასავლეთის ქვეყნებში არ არიან[62], ხოლო ნივთის შეფასება მხოლოდ გარეგნული იერით, მისი წარმომავლობის და ზოგადი კულტურული კონტექსტის გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ყოფილა შემთხვევა, რომ მსხვილ კოლექციებსა და ცნობილ აუქციონებზეც მოხვედრილა საქართველოში დამზადებული ყალბი ნივთები.

თაღლითობის მსხვერპლი შეიძლება გახდნენ არამხოლოდ გამოუცდელი კოლექციონერები, არამედ სამეცნიერო ინსტიტუტები და პროფესიონალებიც კი[63].

ყალბი ანტიკვარული იარაღის იდენტიფიცირება საკმაოდ რთული პროცედურაა, თუკი მას პირველივე შეხედვისთანავე არ ეტყობა სიყალბე და პროფესიონალის მიერ არის შექმნილი. ყალბისმქნელები ფლობენ მეტალურგიისა თუ ოქრომჭედლობის ძველ ხერხებს, ზოგიერთი მათგანი ბუნებრივად განვითარებული თვისებებით ნამდვილი ხელოვანია, მუდმივად ეცნობიან იმ სიახლეებს, რაც ისტორიულ იარაღს უკავშირდება, აქვთ სამუზეუმო თუ კერძო კოლექციების

---

61 Г.Г. Улькинсон – О причине образования струй на булатныхъ или Дамасскихъ клинкахъ, Горный журнал, 1841, Кн. 6, გვ.427;

62 კავკასიური (ქართული) ისტორიული იარაღი, ძირითადად, პოპულარულია რუსეთში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. დასავლეთის ქვეყნებში, მუზეუმებსა თუ აუქციონებზე ხშირად არასწორი ინტერპრეტაციებით ხდება კავკასიური იარაღის იდენტიფიკაცია და წარდგენა (როგორც რუსული/კაზაკური), რასაც ინგლისურ ენაზე ობიექტური ინფორმაციის ნაკლებობა და უკვე ჩამოყალიბებული არასწორი სტერეოტიპები განაპირობებენ;

63 P.Chrzczonowicz – Organised crime in the art forgery market. Teise's aplvalga. Law review. N2 (16), 2017, გვ.134;

ბეჭდური გამოცემების ალბომები, ინტერნეტ რესურსებში და აუქციონებზე არსებული ნივთების ფოტოპირები, ანუ ძველ, ავთენტურ ნიმუშებზე დაკვირვების საშუალება, რომელთაც შემდგომ პროტოტიპებად იყენებენ. ასევე, ვინაიდან მათ ხელში მრავალ ასეულ ძველი იარაღის ეგზემპლარსაც გაუვლია, ემპირიული დაკვირვებით შეძენილი აქვთ დიდი გამოცდილებაც. მოტივაციაც ძლიერია – დიდი ფულის მიღების სურვილი. ბუნებრივია, ასეთი პირების მიერ დამზადებული ნივთების იდენტიფიცირება საკმაოდ რთულია და კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს.

2023 წელს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორია გაიხსნა. სავარაუდოა, რომ ლაბორატორია, საჭიროების შემთხვევაში, ანტიკვარული იარაღის ექსპერტიზასაც მოახდენს. ზოგადად კი ყალბი იარაღის გამოვლენას კომპლექსური მიდგომა სჭირდება. უნდა დაგროვდეს ინფორმაცია თუ რა მეთოდებით და მასალებით ახდენდნენ ძველი ოსტატები ნივთების დამზადებას, ამისათვის აუცილებელია მუზეუმებში დაცული, სანდო იარაღის ეგზემპლარებიდან მოხდეს ნიმუშების აღება და შედეგების ერთიან ბაზაში გაერთიანება, თუმცა ეს არ არის საკმარისი, თუნდაც იმიტომ, რომ ადრეულ საქართველოში გარდა ადგილობრივი მეტალებისა, ოსტატები იმპორტულ მასალასაც მოიხმარდნენ, განსაკუთრებით XIX-ე საუკუნიდან[64]. ამავე დროს, ძველი დამუშავების ხერხები არ იძლეოდნენ საშუალებას ერთგვაროვანი მასალა მიეღოთ, ამდენად, ავთენტური იარაღის კვლევის შედეგები, დიდ არაერთგვაროვნებას აჩვენებს ქიმიური შემადგენლობის მხრივ. მიუხედავად ამისა, ასეთი ბაზის არსებობა მაინც დადებითი მოვლენა იქნება[65]. საკმაოდ რთუ-

64 აღნიშნულ საკითხზე იხ. Л.Б. Двалишвили, С.В. Талантов – О производстве оружия в Аджарии и Гурии в XVIII-XIX веках, Историческое оружиеведение, №11, 2021, გვ.56-60;

65 ძველი იარაღის ქიმიური ლაბორატორიული კვლევის შედეგების ერთიანი ბაზის შექმნის შესახებ, მოსაზრება უკვე გამოთქმული აქვს მკვლევართა ჯგუფს, ცნობილი თბილისელი ოსტატების – ელიარაშვილების იარაღის შესწავლის შემდეგ. იხ. K.V. Tumanova, V.Yu. Bazhin, O.A. Dubovikov, A.V. Sundurov – Analysis of chemical composition of damask blades from the collection of Mining museum in St. Petersburg mining university. CIS Iron and Steel Review, №17, 2019, გვ.65-69; К.В. Туманова, В.Ю. Бажин, О.А. Дубовиков, А. . Сундуров, В.Г.

ლია ძველი დეტალებისგან აწყობილი ან ძველი მასალებით დამზადებული იარაღის სიყალბის გამოვლენა, რადგან ამ შემთხვევაში დეტალი ნამდვილად ძველია და ლაბორატორიული ანალიზიც ამას დაადგენს, ასეთ დროს კვლევაში საჭიროა ხელოვნებათმცოდნეების ჩართვაც, რომელთაც კონკრეტულად იარაღის გაფორმებასთან დაკავშირებული თავისებურებებიც ესმით, ასევე ისტორიკოსთა მონაწილეობაც, ვინაიდან, ხშირად სწორედ ისტორიული კონტექსტით არის შესაძლებელი სიყალბის გამოვლენა.

ამდენად, ნივთის შეფასება უნდა იყოს კომპლექსური კვლევა, რომელიც ერთობლივად მოიცავს მის ლაბორატორიულ, ხელოვნებათმცოდნეობით და ისტორიულ ანალიზს, ასევე დამატებით საჭიროა იმის გარკვევა, თუ არის ცნობილი სად და ვისთან ინახებოდა ნივთი, სად არის შეძენილი და ა.შ. ნივთის ავთენტობის შეფასება და კვლევები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

1. სტილისტიკური შეფასება, რომლის დროსაც ხელოვნებათმცოდნე (იარაღმცოდნე) და ისტორიკოსი აფასებენ: ნივთის სტილისტიკას, ეთნოგრაფიულ (რეგიონულ) კუთვნილებას, პროპორციებს და გეომეტრიას, თუკი ნივთი შემკულია, მისი შემკულობის თავისებურებას ეპოქასთან და რეგიონთან შესაბამისობაში, მჭრელ იარაღზე ღარების თავისებურებებს, ტარის მოყვანილობას, ნივთის ისტორიულ კონტექსტს, წარწერის ლინგვისტურ თუ პალეოგრაფიულ თავისებურებებს, წარწერაში მოხსენებული პირის შესაბამისობას, დამღებს. ასევე ყურადღება ექცევა თუ სად ინახებოდა ნივთი წარმოდგენამდე[66], სად და ვისთან არის შეძენილი; თუ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რაც გამოსაკვლევ ნივთთანაა დაკავშირებული, მაშინ უნდა შემოწმდეს დოკუმენტში არსებული მონაცემები[67], თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ხშირად ხელოვნურად ხდება ლეგ-

---

Поваров – Исследование грузинского булатного оружия XIX в. из коллекции Горного музея Горного университета. Чёрные металлы, 2020, №2. გვ.73-78;

66 წარმომავლობის (მფლობელის) დადგენას პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება უცხოეთშიც (მაგ. აშშ.-ში) მოწვეული ექსპერტის მიერ ანტიკვარული ნივთის კვლევისას, იხ. Art and Crime: Exploring the Dark Side of the Art World, Ed. by Noah Charney, London, 2009, გვ.74;

67 L.Amineddoleh, Are You Faux Real? An Examination of Art Forgery and the Legal Tools Protecting Art Collectors (May 26, 2015), Cardozo Arts & Entertainment Law Journal, Vol.34, N1 (Spring 2016), გვ.73;

ენდის შექმნა ნივთის წარმომავლობაზე, ამიტომ ეს ინფორმაცია ცალკეა შესაფასებელი. ასევე, უნდა გადამოწმდეს ანტიკვარული იარაღის ალბომებში და ფოტო არქივში, რადგან თაღლითები ხშირად ასეთი წყაროებით სარგებლობენ და ნივთს პროტოტიპების მიხედვით აყალბებენ.

სტილისტიკურად გაყალბებულ იარაღებში შეიძლება შეგვხვდეს: ა) დუბლიკატი, რომელიც სამუზეუმო თუ საკოლექციო ორიგინალის ზუსტ ასლს წარმოადგენს; ბ) ნაწილობრივ დუბლირებული, სადაც ორიგინალის მსგავსი ცალკეული დეტალები არის ნიმუშად აღებული; გ) ფანტაზიური, როცა გაყალბებული ნივთის სტილისტიკა არ შეესაბამება ეპოქას და ეთნოგრაფიულ წარმომავლობას.

2. ზედაპირული დათვალიერება, რომლის დროსაც ხდება იარაღის ზედაპირული შემოწმება, თუკი სპეციალური ლაბორატორიული კვლევა საჭირო არ არის. ამ დროს ფასდება მეტალების ზედაპირზე არსებული ჟანგი (სხვადასხვა სიძველის ნივთს სხვადასხვანაირი ჟანგი და პატინა აქვს), გამოყენებული მასალების ზოგადი იერი, დეტალების მიმაგრების ხერხები, დაზიანებების ხარისხი, არსებული ნაკაწრები, ბზარები, ნახეთქები, შეჭყლეტა, ვერცხლიდან აცვენილი სევადა, ღრმულებში ჩამჯდარი ჭუჭყი, დამღების დასმის თავისებურებები და ა.შ.

საზღვარგარეთის პრაქტიკაში ანტიკვარული ნივთების ზედაპირული გამოკვლევისას ხდება სხვადასხვა მიკროსკოპების გამოყენებაც[68].

3. ლაბორატორიული ანალიზი შეიძლება მაშინ გახდეს საჭირო, თუ ვიზუალური დაკვირვებით ვერ გამოირიცხა ნივთის გაყალბება. ლაბორატორიული კვლევა მოიცავს ნივთების ქიმიურ თუ ფიზიკურ კვლევას, შესაბამისი ხელსაწყოებისა თუ მოწყობილობების გამოყენებით (რამანის სპექტროსკოპი, რენტგენი, სამეცნიერო ფოტოგრაფირება, რადიოგრაფია, რადიოკარბონული დათარიღება, თერმოლუმინესცენცია და ა.შ.)[69].

ანტიკვარული ნივთების ნამდვილობის შეფასებისას, აუცილებ-

68 Scientific Investigation of Copies, Fakes and Forgeries, Ed. by Paul Craddock, Oxford, Butterworth-Heinemann, 2009, გვ.22-23;

69 იქვე, გვ.25-39.; L.Amineddoleh – Are You Faux Real? An Examination of Art Forgery and the Legal Tools Protecting Art Collectors (May 26, 2015); Cardozo Arts & Entertainment Law Journal, Vol. 34, N1 (Spring 2016), გვ.73;

ლად გასათვალისწინებელია ანაქრონიზმი, ძველი გაყალბება და ძველი რესტავრაცია.

ანაქრონიზმის დროს, სახეზე გვაქვს იარაღის ფორმა, სტილი, რომელიც არ შეესაბამება დამზადების პერიოდს, ვთქვათ ხანჯალი, რომელსაც გააჩნია XIX ს.-ის მიწურულის დამღა, თუმცა მისი სტილისტიკა ან დეტალის თავისებურება მთლიანად ეხმიანება იმავე საუკუნის დასაწყისში გავრცელებულ მოდას. მსგავსი ფაქტის აღმოჩენა ცალმხრივად არ გულისხმობს ნივთის სიყალბეს (რადგან ეს სტილისტიკური ალრევა, თავის დროზე, შეიძლება დამკვეთის კერძო სურვილიც იყო)[70].

ძველ გაყალბებაზე საუბრისას კი, უნდა აღინიშნოს, რომ ნივთის სიძველე ავტომატურად როდი ნიშნავს მის ორიგინალობას, რადგან სხვადასხვა ტიპის იარაღს წინა საუკუნეებშიც აყალბებდნენ, მაგალითად, ცნობილი „ანდრეა ფერარა", რომელიც XVI-XVII ს.-ში იტალიაში მოღვაწეობდა, მის დამღას კი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში XIX ს.-მდე იყენებდნენ[71].

ძველი რესტავრაცია ძალზედ გავრცელებული მოვლენა იყო. წინა საუკუნეებში, იარაღი, პირველ რიგში გამოსაყენებელი ინსტრუმენტი იყო და არა კედლის დეკორაცია. ხმარებაში კი ნივთი ცვდებოდა ან ზიანდებოდა, რაც საჭიროებდა აღდგენას. ხშირად, ძველ, წინაპრის ნაქონ ნივთს მემკვიდრეები განაახლებდნენ და თავიდან ამკობდნენ, რაც თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისით,

---

70 მაგალითად, ხელოვნების მუზეუმში დაცულია ხანჯალი (ექსპონატი 3182), იმერთ მეფეების ბაგრატ III-სა და სოლომონ I-ის შესახებ წარწერებით. თუმცა, წარწერათა პალეოგრაფიული ანალიზით, წარწერა ძველნაბეჭდ სტამბური გამოცემების შრიფტთან სიახლოვეს ამჟღავნებს, ხოლო ტარის ფორმა XIX ს.-ში არსებულ ხანჯლის ტარებს ჩამოჰგავს. იხ. მ.წურწუმია, შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900 – 1700), თბილისი, 2016, გვ.464-469;

71 ევროპელ მოგზაურებში არსებულმა ანტიკვარიატისადმი ინტერესმა, როგორც ჩანს, XIX ს.-ის თბილისში სიძველეების გაყალბების ბუმიც გამოიწვია. ცარსკოე სელოს არსენალის ხელმძღვანელი და ერმიტაჟის პირველი განყოფილების დირექტორი ფლორიან ჟილი ჯერ კიდევ 1857 წელს, თბილისში ყოფნისას, საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ ადგილობრივი ოსტატები ყალბ დამღებს ადებდნენ ხმლებზე, ამავე დროს, თბილისი ყალბი არქეოლოგიური ნივთების ნამდვილი ფაბრიკაა და აქ ლურსმნულ წარწერებიან პერსეპოლისურ ცილინდრებსაც კი ამზადებენო. იხ. F. Gille – Lettres sur le Caucase et la Crimée, ouvrage enrichi de trente vignettes dessinées d'après nature, et d'une carte dressée au dépot topographique de la guerre à St. Pétersbourg. Paris, 1859, გვ.264;

ფაქტიურად ავთენტობის დაკარგვა არის, თუმცა ძველ პერიოდში, სხვანაირად უყურებდნენ ამ საკითხს. ამიტომაც, შესწავლილ ეგზემპლარებში, არცთუ იშვიათად, ნივთს სხვადასხვა პერიოდის აღდგენის კვალი ეტყობა, ან შეცვლილი აქვს ცალკეული დეტალები[72].

ამდენად, ანტიკვარული იარაღის კვლევისას, ზუსტი იდენტიფიკაციისთვის, ანაქრონიზმის, ძველი გაყალბების და ძველი რესტავრაციის ფაქტებიც უნდა შეფასდეს.

დასკვნა

ბუნებრივია, ერთი წერილის ფარგლებში შეუძლებელია სრულად ამოიწუროს ანტიკვარული იარაღის გაყალბებასთან დაკავშირებული სამართლებრივი (და არამხოლოდ) საკითხები. მით უმეტეს, ეს თემა ცალკე შესწავლის საგნად არასოდეს ქცეულა. საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს არ გააჩნიათ ამ ტიპის დანაშაულების გამოვლენის და გახსნის პრაქტიკა, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ამ სახეს მკვეთრად ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს, ხოლო ყალბი ანტიკვარების დამამზადებელი და გამსაღებელი პირები იატაკქვეშ საქმიანობენ. ცალკე პრობლემად რჩება ისიც, რომ ქართულ კანონმდებლობაში დახვეწილი არ არის იარაღის კოლექციონერობის, საკოლექციო იარაღის და ანტიკვარული იარაღის ცნებები, არ არის განსაზღვრული მათი ადგილი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაში, არ იზღუდება ავთენტური ანტიკვარული იარაღის ქვეყნიდან გადინება.

იმედია, წერილში ასახული ინფორმაცია, რომელიც ყალბი ანტიკვარული იარაღის წარმოებაზე მრავალწლიანი უშუალო დაკვირვების და ანალიზის შედეგია, ხელს შეუწყობს მსგავსი საკითხებით დაინტერესებას და სათანადო დარგის სპეციალისტებსა და პრაქტიკოს იურისტებსაც დაეხმარება.

---

72 თელავის მუზეუმში დაცულ ერეკლესეულ ლეკურზე (ანუ უვადო ხმალი), რომელიც შესაბამისი წარწერით, 1770 წელს, ერეკლე მეორეს დადიანისთვის უჩუქებია ასპინძის ომში გამარჯვების აღსანიშნავად, მოგვიანებით მთლიანად შეუცვლიათ ტარი, რასაც ზედ არსებული წარწერაც გვამცნობს, სადაც მოცემულია თარიღი ჰიჯრით 1279 (1862 წელი). იხ. მეფე ერეკლე, 1720-1798 (ალბომი), რედაქტორ-შემდგენელი ქ.ასათიანი, საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისი, 2020, გვ.32-33;